საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 3764/01
11/04/2019

3764-01-2-201904111833

სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურს''

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 18 თებერვლის სკრინინგის განცხადება (სამინისტროს რეგისტრაციით №2497), რომელიც ეხება ქალაქ ფოთში სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურის'' ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემების და გამწმენდი ნაგებობების მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

აღნიშნულ სკრინინგის განცხადებაში განხილულია გამწმენდი დანადგარები (ნავთობდამჭერი), რომელთა გაწმენდის ეფექტურობა უზრუნველყოფს დაბინძურებული წყლის ნორმირებულ გაწმენდას, კერძოდ:

- შეწონილი ნაწილაკების შემცველობა გაწმენდილ წყალში არ უნდა აღემატებოდეს 60მგ/ლ-ს;
- ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების (TPH) შემცველობა არაუმეტეს 0.3 მგ/ლს;

სკრინინგის განცხადება არ მოიცავს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- ჩამდინარე წყლების კვლევის შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს მძიმე მეტალების შემცველობაზე;
- გამწმენდ დანადგარებში წარმოქმნილი ლამის შემცველობისა და მართვის საკითხები;
- ინფორმაცია ჩამდინარე წყლების მძიმე მეტალებისაგან გაწმენდისა და ეფექტურობის შესახებ, ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილების GIS კოორდინატების მითითებით.

ამასთან, გთხოვთ უზრუნველყოთ ნავსადგურის ტერიტორიაზე არსებულ იმ ნავმისადგომებზე, რომელზეც არ არის გათვალისწინებული გამწმენდების მოწყობა შესაბამისი დასაბუთების წარმოდგენა.

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გთხოვთ, შესაძლო მოკლე ვადაში უზრუნველყოთ აღნიშნული საკითხების დაზუსტება და დამატებითი ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა.

ნინო თანდილაშვილი

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

მინისტრის მოადგილე